

შესავალი სიტყვა რედაქტორისგან

ევროპისმცოდნეობის ქართული ჟურნალის მეორე ნომრის გამოცემა დაემთხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ჩართულობით განხორციელებული და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES)¹ ერთ-ერთ საფინანსო ფაზას, როცა ჩვენი ინსტიტუტის აკადემიურმა პერსონალმა აქტიურად დაიწყო სწავლების ინოვაციური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა-განხორციელება. ამ პროცესმა საგრძნობლად შეუწყო ხელი სტუდენტების მხრიდან ევროკავშირთან დაკავშირებული მრავალნახნაგოვანი პრობლემატიკის უკეთ გააზრებას და მისი პრაქტიკული ასპექტების ხელშეახებ, რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებამდე დაყვანას; ხოლო მეორეს მხრივ, გაამართლა ჩვენი მოლოდინები და გაზარდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ პროექტში ჩვენი ინსტიტუტის მონაწილეობა უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა დინამიური პროცესია და მიმდინარეობს ეტაპობრივად როგორც სამაგისტრო (MA in European Studies), ასევე სადოქტორო (PhD in European Studies) პროგრამების დონეებზე. ის მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, სიმულაციების, ელექტრონული და შერეული სწავლების კომპონენტებს. ტრადიციული სწავლების მეთოდებისგან განსხვავებით, ეს სფერო - სისტემური და ვერტიკალური წესით დანერგვის თვალსაზრისით - შედარებით ახალია ქართულ სინამდვილეში, რამაც გადამაწყვეტინა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს დათმობოდა ჩვენი გამოცემის ყურადღებაც. ამიტომ ჟურნალის პირველ ნაწილში პროფესორ დოქტორ ნათია ლაპიაშვილისა და ჩემს სტატიებს შემოგთავაზებთ, სადაც მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს ნაშრომებს ერთის მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპისმცოდნეობის სწავლების მოდელზე, ხოლო მეორეს მხრივ, თსუ ევროპისმცოდნეობის კურიკულუმის კონკრეტულ კურსებში (ევროკავშირის სამართლის მოდული) ინოვაციური მეთოდების პრაქტიკულად დანერგვისა და გამოყენების საკითხებზე.

ჟურნალის მეორე ნაწილში „ეროვნული იდენტობის საკითხი ევროპაში“ სათაურის ქვეშ გავაერთიანეთ სამი სტატია, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, თუ რატომ ხდება, რომ მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიით განპირობებული „ევროპული ოჯახის“ შექმნამ თავიდან ვერ აიცილა ევროპული იდენტობის კრიზისი, რომელიც ევროინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული სახით და სხვადასხვა მიზეზით იჩენდა და კვლავაც იჩენს ხოლმე თავს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ევროკავშირი, როგორც მრავალხმიანობა საერთო ქოლგის ქვეშ, ხოლო ამავდროულად მისი სტრუქტურა, როგორც ერთ ხმაში საუბრის დამაბრკოლებელი გარემოება - თავად ამ გაერთიანებისა და მის ორბიტაზე მყოფთათვის იმ გამონვევად გადაიქცა, რომელიც ერთდროულად ნაკლადაც აღიქმება და მის მთავარ მომხიბვლელობადაც.

ამ კონტექსტში საშუალება გვაქვს თამარ ქოჩორაძის ავტორობით გავეცნოთ კვლევას წვერი სახელმწიფოების მხრიდან ევროკავშირის განსხვავებული აღქმისგან გამომდინარე გამონვევებზე, რომელიც მკვლევარს წარმოდგენილი აქვს ჩავარდნილი ევროპის კონსტიტუციისა და სანაცვლოდ მოწონებული ლისაბონის ხელშეკრულების პოლიტიკურ-სამართლებრივი შედარების მაგალითზე.

ამავე თავშია ლევან მახაშვილის ნაშრომი, სადაც გაეცნობით ევროკავშირის წევრ ორ სახელმწიფოში - ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში (ხოლო მანამდე ჩეხოსლოვაკიაში) - ხავერდოვანი რევოლუციის წინა და მომდევნო პერიოდებში როგორ ახდენდნენ ელიტები ეროვნული იდენტობის ფორმირებას ისტორიის ინტერპრეტაციის ან რეინტერპრეტაციის მეშვეობით. ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ისტორიის გადანერა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური საჭიროებებიდან, კერძოდ, ელიტების ქმედებებისა თუ დაშვებული შეცდომების ლეგიტიმაციის სურვილიდან გამომდინარე.

მეორე თავის ბოლო ნაშრომად შემოგთავაზებთ ირაკლი მეგრელიშვილის ისტორიულ-შედარები-

¹ ინფორმაცია პროექტის შესახებ იხილეთ ვებ-გვერდზე <http://inotles.eu/>;

თი მეთოდის გამოყენებით დაწერილ სტატიას, რომელშიც ავტორი განსაზღვრავს იმ ფაქტორებს (მათ შორის ეთნიკურ წარმომავლობას, ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას), რომლებიც განაპირობებდნენ სამხრეთ კავკასიის რეგიონად მოხსენიებული სამი სახელმწიფოს - საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სრულიად იდენტურ პოლიტიკურ კონტექსტში მიღებულ რადიკალურად განსხვავებულ ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მეგრელიშვილის საკითხისადმი მიდგომა ნაწილობრივ ხსნის ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებსაც, რაც ამ კვლევის მიმართ ინტერესს უფრო ამძაფრებს.

ჟურნალის დასკვნით მესამე ნაწილში ყურადღება ეთმობა იურისტებისა და პოლიტიკმეცნიერთათვის ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორცაა ევროკავშირის სამართლის საერთაშორისო საჯარო სამართალთან ურთიერთმიმართება. ერთის მხრივ ცხადია, რომ ევროკავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ევროკავშირის სამართლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, თუმცა იმავეს თქმა რთულია საერთაშორისო სამართლის სხვა წესებზე ან იმ ხელშეკრულებებზე, რომლის ხელშეკრველი მხარე არა – ევროკავშირი, არამედ მისი წევრი სახელმწიფოები არიან. ამ რთული საკითხისთვის ნათელის მოფენის საქმეში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. თსუ ევროპული კვლევებისა და თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლობის ფარგლებში გამართულ საჯარო დისკუსიებსა თუ სხვა ღონისძიებებზე ხშირად ხდება მსჯელობის საგანი ევროპის სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებები ზემოთ ნახსენებ კონტექსტში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, ჩვენი სტუდენტებისა და მეცნიერების ყურადღება დაეთმო ძალიან ცნობილ სასამართლო საქმეს *Kadi I*² – როგორც ევროპის პირველი ინსტანციის სასამართლოს (CFI) მეტად წინააღმდეგობებით აღსავსე და კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულ გადაწყვეტილებას, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა საერთაშორისო საჯარო სამართალთან ევროკავშირის სამართლის ურთიერთმიმართების ერთი კონკრეტული ასპექტის - ამ საქმეში *jus cogens* ანუ სამართლის იმპერატიული ნორმების სტატუსის გასაანალიზებლად. აქ სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერორისტული გაერთიანებების წინააღმდეგ მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისთვის ეფექტის მისაცემად ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიების ვალიდურობის განხილვის იურისდიქცია სასამართლოს არ გააჩნდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებთან (*jus cogens*) შეუსაბამობის საკითხი არ დადგებოდა დღის წესრიგში. აღნიშნული გადაწყვეტილება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მოგვიანებით შეცვალა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარეზოლუციო ნაწილში *jus cogens* -ის ცნების მოულოდნელმა წამოწევამ და ამ მიმართულებით მსჯელობის გაშლამ, მკვლევარებისა თუ პრაქტიკოსი იურისტების გაცხოველებული დაინტერესება გამოიწვია, რაც დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

როცა რომელიმე სერიოზულ აკადემიურ გარემოში *jus cogens*-ის ცნებაზე საუბარი, იქ საქართველოში საერთაშორისო საჯარო სამართლის კათედრის დამაარსებლის, ფასდაუდებელი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის და წარმატებული დიპლომატის, აკადემიკოს პროფესორ ლევან ალექსიძის ცნობილი საეტაპო კვლევის გარეშე საუბარი არ ჩაივლის. ასე მოხდა ჩვენი ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ ზემოთ ნახსენებ ღონისძიებაზეც. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ აკადემიკოს ალექსიძის მიერ თითქმის ორმოცი წლის წინ დაწერილ სამეცნიერო ნაშრომს დღემდე აქტიურად ციტირებენ საერთაშორისო სამართლის დარგის ისეთი წამყვანი სახელმძღვანელოების ავტორები, როგორებიც არიან მალკოლმ შოუ³, ჯეიმს კროუფორდი⁴, ოლივერ დიორი⁵, და სხვ. აკადემიკოს ალექსიძის აღნიშნული ნაშრომი პირველად 1982 წელს დაიბეჭდა ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კრებულში⁶ მის მიერ ჰააგაში 1981 წელს ლექციათა კურსის ნაკითხვის შემდგომ, ხოლო მოგვიანებით ის ითარგმნა რუსულ და გერმანულ ენებზე. თუმცა, ქართულ ენაზე ის აქამდე არასოდეს გამოცემულა. ვისარგებლე რა ფაქტით, რომ ამ ჟურნალის თანარედაქტორია, აკადემიკოს ალექსიძეს, როგორც ამ მეტად აქტუალური და უნიკალური

² საქმე C-402 and 415/05 P Yassin Abdullah Kadi and Al Barakaat International Foundation v Council and Commission, 2008, ECR I-6351;

³ Malcolm N. Shaw, *International Law*, Sixth edition, Cambridge University Press, 2008, გვ. 944, იხ. სქოლიო 192;

⁴ James Crawford, Allain Pellet and Simon Olleson (Eds.) *The Law of International Responsibility*, Oxford Commentaries on International Law, Oxford University Press, 2010, იხ. გვ. 453;

⁵ Oliver Dorr, Kirsten Schmalenbach (Eds.), *Vienna Convention on the Law of Treaties, A Commentary*, Springer, 2012, იხ. სქოლიო 24, გვ. 901;

⁶ Vol.172, III;

ნაშრომის ავტორს ვთხოვე ნებართვა, სტატიის ინგლისურიდან მის მშობლიურ ენაზე თარგმანს შეეჭიდებოდი; ისიც მხოლოდ იმ პირობით დამთანხმდა, რომ გამოქვეყნებისას ჟურნალის ამ ნომრისთვის საგანგებოდ დაწერილ წინასიტყვაობას - (როგორც თავად უწოდებს „შესავლის ნაცვლად“, ორიგინალში - „*Instead of Foreword*“) - წავუძღვარებდი თავში. დარწმუნდა რა, რომ ჩემ მიერ შესრულებული თარგმანი მზადაა მზის სინათლის სანახავად, დაპირებისამებრ, გასაქართულებლად ინგლისურად დაწერილი წინასიტყვაობაც შემომამშველა, რომელსაც მკითხველს დიდი სიხარულით გთავაზობთ.

აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემ მიერ აკადემიკოს ალექსიძის ცნობილი ნაშრომის თარგმანის შემოთავაზების მიზნებისა და არსის კონტექსტში გასააზრებლად, ამ ჟურნალის ბოლოში საქმეებზე *Kadi I*⁷ და *Kadi II*⁸ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა მოკლე სინოფსის ქართულ ენაზე გაცნობის საშუალებაც მოგეცემათ.

პატივისცემით,

ნინო ლაპიაშვილი

ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი

⁷ საქმე T-85/09 *Kadi v Commission and Council*, 2010;

⁸ *Supra* 2.